ახალი შემადგენლობით
საწვრთნელი მატჩი

25 მარტს თბილისის “დინამოს” ოსტატმა ფეხბურთელებმა თავის მოედანზე მიიღეს “ბ” კლასის გუნდი – სტალინგრადის “ტორპედო”.

ტორპედოელები მინდორზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: გელაშვილი, გლუხოვსკი, ლეონტიევი, კასატკინი, კორსაკოვი, ფაკეევი, სუჩილინი, პოპოვი, პოტიომკინი, აფხაზავა, მიხაილოვსკი.

მასპინძლებმა ასე გადაახალისეს თავისი გუნდი – პირაევი; ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა; კოტრიკაძე, ღოღობერიძე; გაგნიძე, ჭკუასელი, კალოევი, ზაზროშვილი, ხასია.

სწორედ “დინამოს” ეს ახალი შემადგენლობა იწვევდა მაყურებელთა ინტერესს. მართალია, გუნდებს შორის ძალის მიხედვით დიდი განსხვავებაა, მაგრამ ორი წამყვანი მოთამაშის (ზაზროშვილი და ჭკუასელი) დაბრუნებას გუნდში, მაინც განსაზღვრული სიახლე უნდა შეეტანა.

ეს ასეც მოხდა. თბილისელებმა გაშლილი ფრონტით დაიწყეს შეტევა. მიუხედავად იმისა, რომ თამაში თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში “ტორპედოს” ნახევარზე მიმდინარეობდა და აქ მოთამაშეთა დიდი თავშეყრა იყო, თავდამსხმელები არ შეჯგუფებულან, საჭირო დისტანცია ყოველთვის იყო დარჩენილი მოთამაშეთა შორის. ისინი კარგად გაურბოდნენ მცველებს, გადიოდნენ თავისუფალ ადგილებზე. აკეთებდნენ კომბინაციებს. კოტრიკაძემ და ღოღობერიძემ სულ მალე “მოაგვარეს” საქმეები ნახევარდაცვაში და აქტიურად ჩაებნენ იერიშებში.

ანგარიში გაიხსნა უკვე მეხუთე წუთზე, როცა კალოევი გავიდა მარჯვენა ფრთაზე და ზედ კართან ჩააწოდა ბურთი. მცირე ბრძოლის შემდეგ ხასაიამ იგი ბადეში გაიტანა – 1:0.

15 წუთის მანძილზე თბილისელები არ მოსცილებიან მოწინააღმდეგეს. შეტევა შეტევას მისდევდა. მალე ზაზროშვილი დრიბლინგით გავიდა მცველებს შორის. მოასწრო დარტყმა… გელაშვილმა ცუდად მიიღო ბურთი, რომელიც მას ხელზე აუცურდა და გავიდა კარში – 2:0.

სტალინგრადელთა კარი ამის შემდეგ ორჯერ გადარჩა ნაღდ გოლს (ზაზროშვილის დარტყმული ბურთები მცირედ აცდა მიზანს), მაგრამ 35–ე წუთზე მეკარემ მესამე გოლი გამოიტანა ბადიდან – კალოევმა ოციოდე მეტრიდან მოულოდნელი, უძლიერესი დარტყმით “მკვდარი” ბურთი გაგზავნა ზედა ძელის ქვეშ.

ტაიმის დასასრულს “ტორპედოს” მეკარემ კვლავ შეცდომა დაუშვა და გაგნიძის დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 4:0.

შესვენების შემდეგ, თბილისელებმა თამაში ნელ ტემპში განაგრძეს. პირველ ხანებში სტალინგრადელები ისევ დაცვაში იყვნენ. მაგრამ თანდათან მუშაობაში ჩაებნენ თავდამსხმელებიც. რამდენჯერმე კარში დაარტყეს პოპოვმა, პოტიომკინმა, მიხაილოვსკიმ. ტორპედოელთა თავდასხმა, მართალია, გოლის გატანის უშუალო საფრთხეს არ ქმნიდა, მაგრამ კოტრიკაძეს და ღოღობერიძეს სულ უფრო ხშირად უხდებოდათ ზურგში გადანაცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებმა ზედმეტად “საწვრთნელი” ხასიათი მისცეს მეორე ტაიმს, მათ მაინც ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ საბოლოო დარტყმები ხშირად არ იყო ზუსტი.

მატჩის უკანასკნელ წუთებზე ანგარიში მაინც “დამრგვალდა”. გაგნიძე გაექცა მცველს, შევიდა ცენტრში და მოტრიალებით დაბალი ბურთი გაგზავნა კუთხეში.

შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 5:0 თბილისის ”დინამოს” სასარგებლოდ.

გ. შოთაძე.
28 მარტი, 1956 წ.